პროლეტარებო ქვეყანა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 57 (4567)

1972 წ. 22 მარტი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა





ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტკომბინატის თბილისის დახურული აუზი ყოველდღე ნაყოფიერად მუშაობს „მზად ვარ შრომისა და სამშობლოს დაცვისთვის“ კომპლექსით გათვალისწინებული ნორმატივების მისაღებად ცურვის სხვადასხვა დისტანციაზე. გასულ შაბათ-კვირას აქ განსაკუთრებით ხალხმრავლობა იყო.

სურათებზე: ზევით — ნორმატივების ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია; მარჯვნივ—სტარტზე.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

საკავშირო ოლიმპიადიდან

მარადიული სიჯანსაღის საფეხურები

პირველნი კომკავშირელები არიან

მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება დაიწყო. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც მთელი ამ მუშაობის ორგანიზაცია დაევალა. გათვალისწინებულია სემინარების ჩატარება მეთოდისტებისთვის, მწვრთნელებისთვის, მასწავლებლებისთვის. შეიქმნება მსაჯთა ბრიგადები ნორმატივების მისაღებად. ისინი იმუშავებენ დიდ სპორტულ სარბიელზე, საცურაო აუზზე, ბავშვთა ქალაქში. მშდ ნორმატივების ჩაბარების ყველა ადგილი აუცილებელი სპორტული ინვენტარით იქნება აღჭურვილი.

სტადიონის სპორტულ ნაგებობებზე მშდ კომპლექსის ნორმებს ჩააბარებენ საწარმოების, სასწავლებლების, სკოლებისა და დაწესებულებების ფიზკულტურელები. მსურველებს შესაძლებლობა ეძლევათ ნორმატივები ჩააბარონ ინდივიდუალური წესით.

სტარტზე პირველნი გამოვიდნენ სტადიონის კოსკავშირელები. ასი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხელყუბარის ტყორცნაში, კროსში, ღერძზე მიზიდვაში.

● ●

„ვამრავლოთ მშდ-ს დიდება“

ფსკოვში მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივებს ჩასაბარებლად სარბიელზე პირველად გამოვლენ მწვრთნელები, ნებაყოფლობით საზოგადოებათა აქტივისტები, სპორტული სკოლების ხელმძღვანელები, ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მესვეურები, ასეთია ერთსულოვანი აზრი თათბირის მონაწილეებისა, რომელიც ფსკოვში ჩაატარა ფიზკულტურისა და სპორტის საოლქო კომიტეტმა დევიზით: „ვამრავლოთ მშდ-ს დიდება“.

ფსკოვის უძველესი მხარის სპორტულ მატიანეში ბევრი ნათელი ფურცელი ჩაწერეს მშდ კომპლექსის პირველმა ნიშნოსნებმა. დიდი სამამულო ომის წლებში კომკავშირულ იატაკვეშეთს სათავეში ჩაუდგა უფროსი პიონერსელმძღვანელი, შესანიშნავი ფიზკულტურელი კ. ნაზაროვა, რომელსაც სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშანს ახალგაზრდობის წლებში ამაყად ატარებდნენ სოციალისტური შრომის გმირი, ველიკიე ლუკის კოლმეურნეობა „სმენას“ ტრაქტორისტი ვ. ფომინა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი ა. სლინინი, საბჭოთა მეურნეობა „კრასნი ფრონტოვიკის“ მწველავი ე. უსტრიკოვა, ფსკოვის მანქანათმშენებელი გაერთიანების საჩქარგანთქმული დაზგის მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. დავიდოვი და სხვ.

სწორედ მათ, პირველ ნიშნოსნებს მიეძღვნა ფოტოილუსტრირებული გამოფენები მუშათა და სასოფლო კლუბებში, კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებში.

საოლქო სპორტკომიტეტმა შეადგინა ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა. ამ გეგმის მთავარი მიზანია შეიქმნას ყველა პირობა საიმისოდ, რომ მშდ-ს ახალი კომპლექსის დანერგვის პირველ ეტაპზე ნორმატივები ჩააბაროს ფსკოვის მხარის ყოველმა მეათე მცხოვრებმა, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი ჩაებას ფიზიკურ კულტურასა და სპორტში.

ახალი კომპლექსი და გარდამავალი დროშები

ვიდრე ზამთარი გაზაფხულს ედავება, ათასზე მეტმა კაცმა ჩააბარა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივები.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის სმოლენსკის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. ფიოდოროვმა საკდესის კორესპონდენტს აცნობა, რომ ამჟამად კოლექტივებში ეწყობა სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლები, რათა მოსახლეობა ახალი კომპლექსის ნორმატივებს გაეცნოს. 200 სპორტულ დარბაზში და 2000-ზე მეტ სპორტულ მოედანზე მუშაობენ ნორმატივების მიმღები მსაჯთა მუდმივი კოლექტივები. სკკპ სმოლენსკის საოლქო კომიტეტის ბიუროს და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა დააწესეს ორი გარდამავალი წითელი დროშა სპორტული მიღწევებისთვის. ეს დროშები ყოველწლიურად გადაეცემათ იმ რაიონებსა და ქალაქებს, რომლებიც ახალი კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადებაში თავს გამოიჩენენ.

● ●

სპარტაკიადა მთელი წლის მანძილზე

თურქმენეთის დედაქალაქში სტარტი აიღო სპარტაკიადამ „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“, რომელსაც საზოგადოება „ზახმეტის“ საქალაქო საბჭო ატარებს. გამარჯვებულები დეკემბერში გამოვლინდებიან.

ამჟამად სპარტაკიადა მიმდინარეობს საწარმოებსა და სასწავლებლებში, სადაც ახალი კომპლექსის ნორმატივების მიმღები კომისია მუშაობს. განსაკუთრებით ბევრი მონაწილე ჰყავს კომპლექსის III საფეხურის „ძალა და ვაჟკაცობის“ შეჯიბრებებს.

პირველ დღეს მოეწყო მასობრივი სტარტები. მძლეოსნობაში, ღერძზე მიზიდვასა და ხელყუმბარის ტყორცნაში. ზამთრის აუზში ბამბეულის კომბინატის 60-მდე მუშამ ჩააბარა ცურვის ნორმატივები.

პოლიტექნიკური და ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმების ორმოცმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა რბენაში და მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშნების ნორმატივები შეასრულა.

● ●

კურსი — ახალი კომპლექსი

უკრაინის დედაქალაქში მოეწყო რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც იმსჯელა მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის დანერგვის შესახებ. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარეებმა, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოების თავმჯდომარეებმა, უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და დოსაფის უკრაინის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა, სამინისტროებისა და უწყებათა პასუხისმგებელმა მუშაკებმა, ფიზკულტურული სასწავლებლების ხელმძღვანელებმა.

— უკრაინაში ბოლო წლების მანძილზე შექმნილი კარგი სპორტული ბაზა უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ახალი კომპლექსის წარმატებით დანერგვისა, — თქვა მომხსენებელმა, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. კულიკმა. — 143 სტადიონი, 3 ათასზე მეტი სპორტული დარბაზი, 100 ხელოვნური აუზი, ათი ათასობით სხვა სპორტული ნაგებობა ჯანმრთელობის ახალი კომპლექსის სასტარტო მოედნად უნდა იქცეს.





ჩვენი ძალა ★ ერთიანობაში

რომის ოლიმპიადის ჩემპიონის რ. შავლაყაძის პრიზის მესამე გათამაშებაში, რომელიც შაბათს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა, შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს ჩეხოსლოვაკიელმა ა. პრასკოვამ (180 სმ) და ლენინგრადელმა ი. ტარმაკმა (223 სმ). მათ ტურნირისა და სპორტის სასახლის რეკორდები დაამყარეს სიმაღლეზე ხტომაში.

● ● ●

სურათებზე: მარცხნივ — ა. პრასკოვა; მარჯვნივ — ი. ტარმაკი ასპარეზობის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრადიციად უნდა იქცეს



საქართველოს ქალთა სპარტაკიადების აღდგენა კარგი საქმეა. ეს უდავოდ ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის ქალთა შორის სპორტის ჩამოჩენილი სახეობების განვითარებას. წლევანდელი სპარტაკიადის დებულება ასაკს განსაზღვრავდა — 1948 წელს და უფრო ადრე დაბადებულებს სარბიელზე გამოსვლის უფლებას არ აძლევდა, რაც ალბათ მომავალი რეზერვის უკეთ შერჩევის მიზნით იყო ნაკარნახევი. მაგრამ რა დაშავეს უფრო მეტი ასაკის სპორტსმენებმა, რომლებსაც სწორად წარმატებით დაუცავთ თავიანთი კოლექტივის, რესპუბლიკის ღირსება და დღესაც ძალა შესწევთ უმცროსი კოლეგებისთვის სამაგალითონი იყვნენ.

შესაძლოა წლევანდელი სპარტაკიადის ტექნიკური შედეგები დაბალი უფრო იმიტომაც იყო, რომ სტარტზე ბევრი ვგარდაის წარმომადგენლები არ გამოსულან, ხოლო მოსაპარაზეთაგან მძლეოსნობასა და ცურვაში ოსტატობის კანდიდატის ნორმატივსაც კი ცურავენ შესწვდა.

სპარტაკიადის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ცურვა, ფარიკაობა, სპორტული ტანვარჯიში, მშვილდოსნობა — ის სახეობები, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების პროგრამაშიც შედის. გამარჯვებისთვის ბრძოლის უფლება რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის ნაკრებ გუნდებს ჰქონდათ. ყველა სახეობაში გამოსვლა მხოლოდ თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის ნაკრებმა გუნდებმა შეძლეს. ცხინვალის, ზუგდიდის, რუსთავის, ზესტაფონის, ჩოხატაურის, ზუგდიდის რაიონისა და გორის კოლექტივები მხოლოდ რამდენიმე სახეობაში მონაწილეობას დასჯერდნენ.

სასურველია სპარტაკიადები ტრადიციად იქცეს, გაიზარდოს ასპარეზობის პროგრამა, კალათბურთის, ფრენბურთის, მხატვრული ტანვარჯიშის, ჩოგბურთის, მაგიდის ჩოგბურთისა და სხვა სახეობათა ხარჯზე. ტურნირებში უნდა ჩავიბათ სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი, რაც საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის მიერ დასახული ამოცანის განხორციელებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

წლევანდელმა სპარტაკიადამ უკვალოდ მაინც არ ჩაიარა: რესპუბლიკის სპორტის ოსტატთა რიგები შეივსო. ეს გახლავთ პირველ ყოვლისა...

ტანმოვარჯიშეთა დამსახურება

სპორტის ამ სახეობაში გამარჯვებისთვის 5 კოლექტივის 23 სპორტსმენი იბრძოდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ტანვარჯიში ნორჩთა სახეობა იყო — შეჯიბრებაში უმეტესად 14-16 წლის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

ყველაზე უკეთ მოზადებული აღმოჩნდა თბილისის ნაკრები, რომელმაც საბოლოოდ 398,55 ქულა მოაგროვა. აჭარის კოლექტივი 358,2 ქულით II ადგილზეა. III ადგილი ქუთაისელ სპორტსმენებს ხვდათ — 338,455. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, სოხუმისა (205,248 ქულა) და ცხინვალის (199.404) გუნდები. სწორედ ცხინვალელებმა ზ. ცხოვრებოვამ (67,7 ქულა) და ნ. ლაფაჩმა (65,75) მოიპოვეს II და III ადგილები ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით ტურნირში, სადაც ჩემპიონობა თბილისელ მ. კობერიძეს ხვდა წილად — 72,0.

თბილისელ ტანმოვარჯიშეებს ბადალი არ ჰყავდათ ოსტატთა პროგრამით: 14 წლის ვ. ვასილიევამ 74,2 ქულა მოაგროვა და I ადგილიც მას მიეკუთვნა. ვასილიევას თანატოლმა ს. დუდამ (73,2) და 16 წლის მ. ფაშაულიშვილმა (72,3) პირველად შეასრულეს სპორტის ოსტატის ნორმატივი. სულ ტურნირში ეს ნორმატივი ოთხმა ქალმა შეასრულა, სპორტის ოსტატობის კანდიდატისა — ერთმა. სარბიელზე საქართველოს ბევრი წაყვანი ტანმოვარჯიშე არ გამოსულა. მათ შორის უნდა დაფასებულ ნ. დრონოვა და რ. სიხარულიძეც, რომლებიც სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში არიან მიწვეული და მიუნჰენის თამაშებისთვის ემზადებიან.

საფარიკაო სარბიელზე

ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, სოხუმის, ზესტაფონის, ცხინვალისა და ჩოხატაურის სპორტსმენები, რომლებმაც გუნდური ადგილებიც ამ თანმიმდევრობით გაინაწილეს. მაგრამ ეს არ იყო თანაბარი სიძლიერის კოლექტივების ტურნირი: თბილისელებმა 45 ქულა მოაგროვეს, ჩოხატაურელებმა სულ 2 ქულა მიიღეს, ცხინვალის სპორტსმენებმა — 4, ზესტაფონელებმა — 6, თავი არც სოხუმისა (8 ქულა), და რუსთავის წარმომადგენლებს გამოუჩენიათ, მათ ისევ ქუთაისისა და ბათუმის მოფარიკავეები სჯობდნენ და II-III ადგილებისთვის ბრძოლაც სწორედ მათ შორის გაიმართა. საბოლოოდ ბათუმისა და ქუთაისის კოლექტივებს 27-27 ქულა დაუგროვდათ. II ადგილი ქუთაისელებს მიეკუთვნათ, ვინაიდან ტურნირის ერთადერთი ჩემპიონი სწორედ ამ გუნდის წევრი, 17 წლის ნ. გავაშელაშვილი გახდა. თბილისელები ი. გვენეტაძე და დედაქალაქის ქალთა სპარტაკიადის ჩემპიონი დ. ჩიქოვანი II და III ადგილებს დასჯერდნენ.

ურეკორდებოდ

მძლეოსანთა შეჯიბრებას მასობრივობის თვალსაზრისით ვერ დავემდურებით: „თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე 104 სპორტსმენმა მოიყარა თავი, მაგრამ საუკეთესო შედეგი II თანრიგის მაჩვენებელზე მაღალი არ იყო. ასეთი შედეგი 18 მძლეოსანმა მოიპოვა (პროგრამაში 12 სახეობა შედიოდა).

პერიფერიების წარმომადგენლებმა პირად ტურნირში თბილისელებს მხოლოდ ოთხი პირველი ადგილის მოპოვების საშუალება მისცეს, რაც უფრო მასპინძელთა დაუდევრობითაა გამოწვეული: თბილისის გუნდში ყველა უძლიერესი როდი გამოდიოდა.

ყველაზე დიდი წარმატება მოიპოვა ბათუმის გუნდის წევრმა ვ. გოლობოროდკომ, რომელმაც ჯერ 200 მეტრზე რბენა მოიგო — 26,3, შემდეგ 400 მეტრზე ასპარეზობაში ისახელა თავი — 1.00,8. ორივე დისტანციაზე II და III ადგილები სოხუმისა და რუსთავის სპორტსმენებმა დაისაკუთრეს: 200 მეტრზე რბენაში — ტ. ბელოვამ და ნ. პოლიაკოვამ, 400 მეტრზე — ტ. ტესლენკომ და ლ. სემირენკინამ.

გოლობოროდკოს თანაგუნდელის ო. შტუკატაროვას გამარჯვებით დამთავრდა ბადროს მტყორცნელთა შეჯიბრება — 38.90. ქუთაისელებმა მოიგეს 800 მეტრზე რბენა (ლ. მაკაროვა — 2.25,8) და 1500 მეტრზე შეჯიბრება (დ. ნერგაძე — 5.25,0), სოხუმელებმა — 100 მეტრზე რბენა (ბელოვა — 12,7), 4×400 მეტრზე ესტაფეტა (4.16,6), და სიმაღლეზე ხტომა (ნ. ქობელევა — 145 სმ).

მასპინძლებს პირველობა დარჩათ სიგრძეზე ხტომაში (ნ. ლომიძე — 538 სმ), 100 მეტრზე თარჯრბენში (რ. ჩუბინიძე — 16,6), ბირაჯის კვრასა (გ. ბერაია — 12,84) და ბუბის ტყორცნაში (დ. საბაური—42,18).

გუნდური პირველობა მაინც თბილისელებს ხვდათ. II ადგილზე აჭარიან ბათუმის, III — სოხუმის სპორტსმენები.

ცისფერ ბილიკებზე

ძალები ყველაზე უთანაბრო მაინც ცურვაში იყო. თბილისის „შრომითი რეზერვების“ აუზში 4 გუნდის 48 სპორტსმენი ასპარეზობდა. აქ რესპუბლიკის ყველა უძლიერესი მოცურავე ვერ ვიხილეთ, ვინაიდან საუკეთესონი ერევანსა და ბაქოში გამოდიოდნენ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ ეროვნის ფინალის საგზურებისთვის განაწილებულ ზონალურ ტურნირებში.

შეჯიბრებაში სოხუმელთა (48) და ქუთაისელთა (24 ქულა) შედეგები მეტისმეტად დაბალი ჩანს არა მარტო თბილისელთა (299 ქულა), არამედ II ადგილზე გასულ ბათუმის სპორტსმენთა მონაპოვართან (143) შედარებითაც.

სპარტაკიადაში საერთო გუნდური პირველობა თბილისელებმა დაისაკუთრეს — 98 ქულა. II ადგილზეა ბათუმის გუნდი — 86, III — ქუთაისის კოლექტივი — 84.

„ლელოს“ ბრიგადა.

ულიდერებოდ

საქართველოს ქალთა სპარტაკიადის დებულებით, ტურნირში 24 წელზე უფროსი ასაკის სპორტსმენები არ დაიშვებოდნენ, ეს მომავლისთვის ხრუნვით იყო ნაკარნახევი. სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის აბსოლუტურ ჩემპიონს, თბილისელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ლ. ასატუროვას ამ შეზღუდვის გამო ბათუმში გამართულ მშვილდოსანთა შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია. სარბიელზე ვერც სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების მეორე კანდიდატი, ქუთაისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ქ. ლოსაბერიძე ვიხილეთ — იგი საქართველოს კომკავშირის XXIX ყრილობის დელეგატი იყო.

ამის მიუხედავად, ღია ცის ქვეშ წლეულს პირველად გამართული რესპუბლიკური ტურნირი საინტერესო გამოდგა. სტარტზე თბილისის, აჭარის, აფხაზეთისა და ქუთაისის 25 სპორტსმენი გამოვიდა.

თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ქ. წურწუმიამ სამ დისტანციაზე (30 მეტრზე სროლა — 312, 60 მეტრზე — 253, და 70 მეტრზე — 227) შეჯიბრება მოიგო, „მ-1“ ვარჯიშში 1010 ქულა მოაგროვა და სპორტის ოსტატის ნორმატივამდე 10 ქულა დააკლდა. წურწუმიამ დასანანი მარცხი იწვნია 50 მეტრზე შეჯიბრებაში, სადაც 218 ქულას დასჯერდა.

წურწუმიას გარდა „მ-1“ ვარჯიშში სპორტის ოსტატობის კანდიდატობის ნორმატივი შეასრულეს ქუთაისელებმა გ. ფაიქიძემ (966 ქულა), რომელმაც 50 მეტრზე სროლაში გამარჯვებაც დაისაკუთრა (241 ქულა) და დ. ლოსაბერიძემ — 923 ქულა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი ქუთაისის მშვილდოსანთა ნაკრებს დარჩა — 2694 ქულა. თბილისის გუნდი II ადგილზე გავიდა — 2621, III ადგილზეა აჭარის კოლექტივი — 2212. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სპორტსმენები სპარტაკიადისთვის სუსტად მომზადებულნი აღმოჩნდნენ.

ა. ბაძრაძე,
საქართველოს მშვილდოსანთა მთავარი მწვრთნელი.

* * *

სურათებზე: მძლეოსანთა შეჯიბრების მომენტები. მარცხნივ 100 მეტრზე თარჯრბენის დისტანციაზე; მარჯვნივ — 800 მეტრზე რბენის მომენტი.

ო. გელაშვილის ფოტოები.

მოსნაკლეთა სპარტაკიადის პროგრამით

ამას წინათ წნორის სპორტულ დარბაზში ჩატარდა რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში. I ადგილი დაისაკუთრა წნორის საშუალო სკოლების ნაკრებმა (მწვრთნელი ზ. ყანჩაშვილი). II ადგილი დაიკავა ჯუგაანის, III — ანაგის საშუალო სკოლამ.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ს. ფანჩვიძემ, გ. არჩვაძემ (ორივე — წნორი), ფ. ალადაშვილმა (ჯუგაანი), გ. ბაგალიშვილმა (წნორი), ჯ. ელაშვილმა (ჯუგაანი), შ. დარჩიაშვილმა (ანაგა), ნ. ერიაშვილმა, გ. ყოინაშვილმა (ორივე — წნორი), ი. ტარყაშვილმა (ბოდბე), კ. სინჯოიანმა, ლ. ჯიყაშვილმა (ორივე — წნორი).

გ. გეჟაშვილი.

ეროვნული ეკონომიკა

ცხინვალი

ჩატარდა სამხრეთ ოსეთის დოსააფის აქტივის საოლქო კრება. აქტივის კრებაზე დოსააფის VII საკავშირო ყრილობის შედეგებისა და საოლქო ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს დოსააფის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. აბულაძე.

ა. მარგიევი.

საჩხერე

გაიმართა დოსააფის საჩხერის რაიონული კომიტეტის პლენუმი. მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს დოსაფის კომიტეტის წარმომადგენლის ვ. ყაკაურიძის მოხსენება — „დოსაფის საკავშირო VII ყრილობის შედეგები და დოსაფის საჩხერის რაიონული ორგანიზაციის ამოცანები“. პლენუმის მონაწილეებმა ერთსულოვნად მხარი დაუჭირეს დოსაფის საჩხერის რაიონული ორგანიზაციის მიერ სოციალისტურ შეჯიბრებაში ორჯონიკიძის დოსაფის რაიონული ორგანიზაციის გამოწვევას.

ა. ანასაშვილი.
(ხაკ. კორ.).

ტუვიის სროლა

ევროპის რეკორდები

1972 წლის 15 მარტისთვის

ვარჯიში	შედეგი	რეკორდსმენი	დამყარების წელი
ვაჟები			
არმიული შაშხანა			
სტანდარტი 3×20	566	ბ. მელნიკი (სსრ კავშირი)	1969
	2227	სსრ კავშირის ნაკრები	1969
ნებისმიერი შაშხანა			
სტანდარტი 3×40	1154	ა. ბერასიმენოკი (სსრ კავშირი)	1966
	4573	სსრ კავშირის ნაკრები	1966
წოლელა 40 გასრ.	400	რ. პოიერი (ჩეხოსლოვაკია)	1971
	1583	სსრ კავშირის ნაკრები	1966
ჩოქელა 40 გასრ.	392	ვ. კორნეევი (სსრ კავშირი)	1969
	1554	სსრ კავშირის ნაკრები	1969
დგომელა 40 გასრ.	376	ა. ჰოლენშტაინი (შვეიცარია)	1968
	1451	სსრ კავშირის ნაკრები	1970
მცირეკალიბრიანი შაშხანა			
სტანდარტი 3×20	578	ა. დონა (იტალია)	1970
	2277	სსრ კავშირის ნაკრები	1965
	2277	გდრ-ს ნაკრები	1970
სტანდარტი 3×40	1165	ო. ლაპკინი (სსრ კავშირი)	1969
	4622	სსრ კავშირის ნაკრები	1969
წოლელა 40 გასრ.	400	ი. კურკა (ჩეხოსლოვაკია)	1969
	400	ვ. ვაიგელი (ავსტრია)	1969
	400	ვ. პარხომოვიჩი (სსრ კავშირი)	1971
	1587	ჩეხოსლოვაკიის ნაკრები	1969
ჩოქელა 40 გასრ.	396	ბ. კლინგნერი (გფრ)	1968
	1557	სსრ კავშირის ნაკრები	1969
დგომელა 40 გასრ.	379	ო. ლაპკინი (სსრ კავშირი)	1969
	1494	სსრ კავშირის ნაკრები	1969
წოლელა 60 გასრ.	598	ი. კურკა (ჩეხოსლოვაკია)	1968
	598	ლ. ჰემერლი (უნგრეთი)	1968
	598	პ. ბორეშსკი (გდრ)	1969
	598	ვ. ვაიგელი (ავსტრია)	1969
	598	ე. კერვინენი (ფინეთი)	1971
	2380	რუმინეთის ნაკრები	1969
	2380	ჩეხოსლოვაკიის ნაკრები	1969
„გაქცეული ტახი“	566	ჰ. ჰორდი (შვეიცარია)	1971
	1439	სსრ კავშირის ნაკრები	1970
პნევმატური შაშხანა			
40 გასრ.	387	ჰ. კუსტერმანი (გფრ)	1970
	387	ვ. რასკოვალოვი (სსრ კავშირი)	1971
	1524	სსრ კავშირის ნაკრები	1971
60 გასრ.	562	ვ. ველიკოვიჩი (იუგოსლავია)	1970
მცირეკალიბ. პისტ.			
50 მ. 60 გასროლა	572	ბ. კოსიხი (სსრ კავშირი)	1969
	2239	სსრ კავშირის ნაკრები	1969
25 მ. 60 გასროლა	598	ჯ. ლიბერძანი (იტალია)	1970
	2366	ჩეხოსლოვაკიის ნაკრები	1970
ხილუეტებზე			
60 გასროლა	582	ლ. ფალტა (ჩეხოსლოვაკია)	1969
	2276	ჩეხოსლოვაკიის ნაკრები	1969
მსხვილკალიბრ. პისტ.			
30+30 გასრ.	596	ლ. ფალტა (ჩეხოსლოვაკია)	1969
	2349	სსრ კავშირის ნაკრები	1962
პნევმატური პისტ.			
40 გასრ.	387	ვ. პეშეხონოვი (სსრ კავშირი)	1968
	387	ვ. სტოლიპინი (სსრ კავშირი)	1971
	1516	სსრ კავშირის ნაკრები	1969
	1516	ჩეხოსლოვაკიის ნაკრები	1969
60 გასრ.	558	ი. დენესიუკი (სსრ კავშირი)	1970
ქალები			
მცირეკალიბრ. შაშხანა			
სტანდარტი 3×20	577	ბ. მასიჩი (იუგოსლავია)	1971
	577	თ. რაბნიკოვა (სსრ კავშირი)	1971
	1717	სსრ კავშირის ნაკრები	1971
წოლელა 60 გასრ.	598	ე. როლინსკა (პოლონეთი)	1971
	1790	პოლონეთის ნაკრები	1971
პნევმატური შაშხანა			
60 გასრ.	380	ზ. რისტერერი (გფრ)	1969
	1113	სსრ კავშირის ნაკრები	1971
მცირეკალიბრიანი პისტ.			
60 გასრ.	583	დ. ნისკოვა (სსრ კავშირი)	1971
	1741	სსრ კავშირის ნაკრები	1971
პნევმატური პისტ.			
60 გასრ.	379	ნ. სტოლიაროვა (სსრ კავშირი)	1969
	1116	სსრ კავშირის ნაკრები	1969

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარაული, ფარჩაულ საკანდელიძეა!

თამაზ წივწივაძე

ახალგაზრდა ჟურნალისტმა თამაზ წივწივაძემ დაამთავრა მუშაობა წიგნზე „ფრთხილად, ფარჩაულ საკანდელიძეა". ვბეჭდავთ ერთ თავს ამ წიგნიდან.

მოცლილი დღის ქრონიკები

დავთქვით, რომ ერთმანეთს ნაშვიდნოემბრევს შეეხვდებოდით. მანამდე კი ცალ-ცალკე მივულოცავდით ამ შშვენიერ საოჯახო დღესასწაულს მშობლებს, ახლობლებს...

თერთმეტი ნოემბერია, ლეონიძის ქუჩაზე, მგელაძეების ოჯახში ვარ. ზურაბ საკანდელიძე აგერ რამდენიმე თვეა მამა გახდა და საცხოვრებლად დროებით სიდედრთან გადმოვიდა („დროებით" ზურაბის სიტყვაა, თორემ სიდედრის სახლში საბოლოოდ რომ არ რჩებიან, უცოლო კაცი ვარ და, ჩემთვისაც ცნობილია).

ზურაბის მეუღლე მაცოს უნივერსიტეტში მიეჩქარება. პატარა ზურიკოს ქალბატონი იუნონა, ზურაბის სიდედრი, იტოვებს. მას ჯერჯერობით არსად უგვიანდება, საღამოს კი ლექციები აქვს სტუდენტებთან პუშკინის ინსტიტუტში.

მე და ზურაბი ცალკე ოთახში გავდივართ და გვეწყება კიდევ ერთი „სამუშაო" დღე.

... ქუთაისში, კიროვის ქუჩაზე, ძველთაძველი სანიმუშო ფურნეა. ამ უბნელ ბიჭებს, სხვებისგან გამოსარჩევად, „ფურნისქუჩელებს" უწოდებენ. ჭერ გაიგებ, მოსწონთ თუ არა შერქმეული სახელი აქაურ მამლაყინწებს, ოღონდ, რომ იტანენ, ამას წყალი არ გაუვა. არ ყოფილა შემთხვევა, მათთვის დაეძახოთ — ფურნისქუჩელოო, და ამისთვის ვინმე აქოჩრილიყო. მაკრამ თუ ამ მიმართვას რომელიმე არაპოპულარული შორისდებული, ვთქვათ, ეი! დაემატება, ამაზე აქაური ბიჭები ასაკისდაგვარად იძლევიან პასუხს, თანაც ისეთი მონდომებით, რომ, ვიდრე სინამდვილეში არიან, ორი-სამი წლით უფროსები მოგეჩვენებათ...

ამას ახლა იმიტომ ვიხსენებ, რომ ზურაბ საკანდელიძე ალი-კვალი ფურნისქუჩელია.

— კიროვის 29 ნომერში დავიბადე. ჩვენი ეზო ალბათ ეზოებს შორის ყველაზე „მიკროა" მსოფლიოში, — ეყვება ზურაბი. მე მოვაგონებ, რომ ქუთაისელი ვარ როგორც ეთნიკურად, ისე გეოგრაფიულად, ამიტომ „დეტალების სიზუსტით გადმოცემას" მეტი პასუხისმგებლობით მოვკიდოს. არა მგონია, ჩემი ეზოს აქბავი სხვამ უფრო იცოდესო, მეუბნება და განაგრძობს: ამ პატარა ეზოში იმდენი ბავშვი ვცხოვრობდით, რომ მიწაზე ფეხის დასადგმელს ძლივსღა ვპოულობდით და იძულებული ვიყავით „საპაერო" თამაშებს დავჯერებოდით.

სურათზე: საკანდელიძე უტევს მეტოქის ფარს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ერთ დღეს მავთულის რგოლს დახეული პაისური ჩამოვაცვეთ. რგოლი ხეზე მივამაგრეთ და დაკერებული ბურთით ღილიდან საღამომდე კალათს „ვბომბავდით". ამ დღიდან მოყოლებული თამაში არ შეგვიწყვეტია.

მეზობლები გაგვიხარეს. რაკი ეზოში ფარზე მოიერიშე ბავშვების უმეტესობა ჩვენი ოჯახიდან იყო, მათ „პეტიცია" გაუგზავნეს მამაჩემს და სთხოვეს აღედგინა მეზობლური ატმოსფერო, რომელსაც მისი ბიჭები აფუჭებდნენ. მამამ მავთულის რგოლი ხიდან ჩამოხსნა და მკაცრად მოვეთხოვა გვეცნო თითოეული მეზობლის სუვერენიტეტი.

... მე ახლოს ვიცნობ საკანდელიძეების ოჯახს. ზურაბის ძმებიდან ყველა თამაშობდა კალათბურთს. ანზორი წლების განმავლობაში თბილისის „ბურევესტნიკის" წამყვან მოთამაშედ ითვლებოდა, გურამი ქუთაისის ნაკრების ღირსებას კარგა ხანს იცავდა, ხოლო უფროსი ძმა ბიძინა (ჩემი ახლო მეგობარი) დიდხანს დარბოდა კალათბურთის მოედანზე, ერთი-ორჯერ ბურთი კალათისკენაც გაისროლა, რა იცი, შეიძლება ჩავარდესო, მაგრამ, როცა ნასროლმა ბურთმა ფარს ნარნარად ჩაუქროლა, ამ ძნელ ხელობას თავი დაანება და დიდი სიყვარულით შეუდგა პატარა ძმების დაგეშვას „დიდი კალათბურთისთვის".

ბატონ ალექსანდრეს, ზურაბის მამას, იუმორის დიდი გრძნობა აქვს. ერთხელაც, როცა ის ჩამოხსნილი კალათი შევახსენე, მითხრა: რა ვიცოდი, თუ ოჯახში ეროვნული კალათბურთის ვარსკვლავი მეზრდებოდა, თვარა ჩემით ავიდოდი ხეზე. ღილიდან საღამომდე კალათს დავიჭერდი ხელში და ზურაბის ნასროლ ბურთებს აქეთ-იქით მივაყოლებდი.

ზურაბ საკანდელიძე ჭინკა ბიჭი იყო, კალათბურთში სერიოზულად რომ დაიწყო ვარჯიში. მისი მწვრთნელი გახლდათ წარსულში ჩვენი კალათბურთის ერთი სახელოვანი წარმომადგენელი სულიკო თორთლაძე — სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ზურაბს ძალიან უყვარს თავისი პირველი მასწავლებელი.

— სულიკო თორთლაძისგან ამალბედა კალათბურთელს ორი რ·მის სწავლა შეუძლია, — მეუბნება ზურაბი. — ერთია კალათბურთის თამაშის საიდუმლოება, მეორე — თავისი ქალაქის, ერისა და ქვეყნის ჯადოსავით სიყვარული...

დარეკეს. ყურმილი ზურაბმა აიღო. მალე მივხვდი, რომ არაფრის გამო ურეკავდნენ. გამოცდილებით ვიცი, როცა საქმე არაფერი აქვთ და. მაინც გირეკავენ, საუბარი საათობით გრძელდება...

მე ამ ოთახში ხშირად ვყოფილვარ. აქაურობა თითქმის ზეპირად ვიცი და უმნიშვნელო ცვლილებაც კი ცირკის აფიშასავით მეცემა თვალში. ამიტომ მიკვირს, მთელი დღე ბიის მძაფრი, სასიამოვნო სურნელი მცემს, მისი გეოგრაფიული მდებარეობა კი ვერ დავადგინე. ახლა კი, როცა მისთვისაც მოვიცალე, ადვილად აღმოვაჩინე ბროლის დიდ ვაზაში.

ზურაბი ლაპარაკს უხალისოდ ვანაგრძობდა, მერე მოსაუბრეს სთხოვა, არაფერი ისმის და ხელახლა დარეკეთო.

ასევე, ჩემი ღრმა რწმენით, გურამ მინაშვილის ადგილი ასეთ ნაკრებში არავისთვის სათუო არ უნდა იყოს. პირადად მე იგი კავშირში ყველა დროის საუკეთესო მცველად მიმაჩნია.

უწინაც ვიცოდი, რომ ზურაბ საკანდელიძე ოთარ ქორქიას დიდი პატივისმცემელი იყო. ბატონმა ოთარმა 18 წლის ზურაბი თბილისის „დინამოში" მოიწვია მერეც, როცა ზურაბი ცნობილი კალათბურთელი გახდა, მისი მზრუნველი ხელი არასდროს მოკლებია.

გურამ მინაშვილი კი ზურაბ საკანდელიძეს გამორჩევით უყვარს, ჩემი იდეალია კალათბურთშიო, — არაერთხელ აღუნიშნავს.

— მე ბევრ კალათბურთელთან მითამაშია, ჩვენთანაც, ნაკრებშიც, მაგრამ გურამთან თამაში სხვა იყო. მოედანზე, თუ დამიჯერებთ, მის სუნთქვასაც ვგრძნობდი.

— ზურაბ, რა ჭქონდათ ამ კალათბურთელებს საკუთრად ისეთი, ვთქვათ, ზურაბ საკანდელიძეს რომ შეშურდებოდა, ანდა, მასაც რომ ჭქონოდა, ძალიან მოუხდებოდა?

იგი ადგა, პატარა ზურიკოს დახედა. ოთახში მალე შემობრუნდა, ზეთილის დიდი სიყვარული და სითბო შემოიყოლა.

— ქორქიასა და ჯორჯიკიას თამაში არ მინახავს, ამიტომ მათზე ვერაფერს ვიტყვი. კილაძისგან ავიღებდი ჯუსტეტს სროლას, განსაკუთრებით, საშეალო და შორი მანძილებიდან, მინაშვილისგან სპორტული თავგანწირვის მაგალითს, მის მაორგანიზებელ ნიჭსა და უნარს, რომელიც ჩემთვის მუდამ სანატრელი იყო, ხოლო დანარჩენს „ჩემსასაც" ვიკმარებდი.

— უგრეხელიძისგან?

— უგრეხელიძეს ყველა ეს თვისება ისე თუ ისე აქვს, მაგრამ ამათგან რომელიმე მის თამაშში ძალიან გამოკვეთილად არ შეიმჩნევა. შეიძლება კაცს მისგან აეღო ხტომის დროს ჰაერში დაყოვნების უნარი (ალბათ გამიგებ), მაგრამ მე არც ჩემს ნახტომს ვემდური.

ამასობაში პატარა ზურიკომაც გაღვიძა, მოშივდა.

ქალბატონმა იუნონამ საათი იკითხა.

ზურაბმა კედლისკენ მიიხედა, პირველიაო, უთხრა.

მალე ქალბატონი იუნონა ჩვენთან შემოვიდა, ხელში ქილა ეჭირა. ამაში მაისის თაფლიაო, თქვა. ზურაბს მიაწოდა. მე შეხოვა, ბია მიირთვითო.

— ზურაბის ორგანიზმი გადაღლილია, ჯანზე მოსასვლელად ექიმმა თაფლი გამოუწერა, — მითხრა.

— რა ვუყოთ მერე, ქალბატონო, — დავამშვიდე მე.

ზურაბს, ეტყობა, ჩემი თანდასწრებით თაფლის ჭამა ეხირცხვებრდა. როდის იყო ამას ვჭამდიო, თქვა.

— ამ კვირაში მთელი ქილა შეჭამა, დღის რა მოუვიდაო, — უკვირდა სიდედრს. ბოლოს მიხვდა სიძის გაჯიუტების მიზეზს და მის გასათამამებლად მე მომმართა იმ იმედით, აუცილებლად დამიმოწმებსო.

— თქვენც ხომ გიყვართ თაფლი?

— ბავშვობაში ვჭამდი კიდეც, ქალბატონო, მაგრამ როცა სკოლაში შემიყვანეს, დედა გავაფრთხილე, აწი დიდი ვარ და თაფლი აღარ დამანახოთ-მეთქი.

ჩემმა სიტყვებმა სულ გადარია კაცი.

... ზურაბ საკანდელიძეს ძალიან უყვარს კალათბურთის ლამაზად თამაში. მისი თამაშის სტილი გამორჩეულია ყოველთვის და ყველასგან. ჟურნალისტმა ანატოლი პინჩუკმა მასზე თქვა: „იგი იმ ლამაზ ქალს ჰგავს, რომელმაც იცის თავისი სილამაზის ფასი, მაგრამ სურს, რომ კიდევ უფრო მოგაწონოთ თავი".

ეს ამბავი ზურაბს შევახსენე.

— რას ერჩი, ძმაო, კარგად უთქვამს, — გაეცინა.

მეც გამეცინა.

— შენ რაღა გაცინებს? — მკითხა.

— არაფერი იმავე პინჩუკმა ასეც თქვა: ზურაბ საკანდელიძე ცოტას ამლაშებსო.

ორთავეს გვეცინება.

— მართალი რომ გითხრა, ჩემთვის კალათბურთი მარტო სპორტული შეჯიბრება არაა, იგი სანახაობაცაა. მაყურებელი თამაშზე მხოლოდ ანგარიშის გულისთვის არ მოდის. ანგარიშს ნერვების აუშლელად გაზეთებიდანაც იეტყობს. მახსოვს, ახალგაზრდულ ნაკრებში მწვრთნელი ბაბკინი მაფრთხილებდა: ზურაბ, შეეცადე კალათში ბურთი უფრო უბრალოდ ჩააგდო. ვერძნობდი, რომ მაყურებელს „ჩემეული" ტყორცნა მოსწონდა და, მისთვის ეს სიამოვნება რომ არ მომეკლო, ტრავმებსაც არ ვერიდებოდი. დაგაჯილვარ კიდეც. ხანდახან კოჭიც ამოვარდნია, მაგრამ ეს არაფერი. მაყურებელთა ტაში ტკივილს პირამიდნივით მიამებდა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ალმაზრდელოგითი მუშაობა მოისუსტებს

ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა წყალბურთში, რომელიც ამ დღეებში ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სპორტკომბინატის საცურაო აუზში დამთავრდა, წლევანდელი საპორტული სეზონის სტარტზე მესამე ღონისძიება იყო ამ სახეობაში.

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის „დინამო", „ლოკომოტივი", განათლების განყოფილება, ქუთაისის „დინამო" და ბათუმის „ვოდნიკი". შეჯიბრების ორგანიზატორები გუნდს აფხაზეთიდანაც ელოდნენ, მაგრამ ბოვიდა დეპეშა: „აუზის უქონლობის გამო შეჯიბრებაში მონაწილეობას ვერ ვიღებთ". კაცმა რომ თქვას, ბათუმიდან და ქუთაისიდან ასეთი ცნობის მიღება არ იქნებოდა უცნაური. მაგრამ ამ ქალაქებმა ხომ აგერ ასლახანს საქართველოს ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა და აქაც რესპუბლიკური სახელი შეუნარჩუნეს პირველობას.

ასეა თუ ისე, ამ შეჯიბრებამაც გამოიწვია სპორტული ენინ და აკიოტაჟი, რაც ძირითადად უკეთესი საპრიზო ადგილის მაძიებელი თბილისის გუნდების პრინციპულ შეხვედრებში ვლინდებოდა.

ჩვენც სწორედ ამ კუთხით გვინდა მატჩები წარმოგიდგინოთ. განათლების განყოფილების წყალბურთელები რკინიგზელებთან შეხვედრაში დამარცხდნენ ანგარიშით 5:7, დინამოელებთან კი დაძაბული მატჩი ფრედ (2:2) დაამთავრეს და III ადგილისთვის ბრძოლას შეურიგდნენ. რკინიგზელები პრინციპულ მატჩში ვერ გაუმკლავდნენ დინამოელებს და შეხვედრა წააგეს — 4:6. დანარჩენი 2-2 ქულა ამ გუნდებმა სტუმრებისგან აიღეს (ქუთაისელები „დინამოსთან" დამარცხდნენ ანგარიშით 3:5, „ლოკომოტივთან" — 5:8, განათლების განყოფილებასთან — 3:8, ბათუმელებმა შესაბამისად წააგეს ასევე ანგარიშებით — 1:5, 3:4 და 5:8).

სტუმრები სიძლიერით თითქმის თანაბარნი იყვნენ და მათს შეხვედრასაც ინტერესით მოელოდა მაყურებელი. მატჩი მართლაც დაძაბული გამოდგა. პირველ პერიოდში ბათუმელებმა ორი ბურთის სხვაობით აჯობეს მეტოქეს, მაგრამ მომდევნო პერიოდში ქუთაისელებმა აღადგინეს წონასწორობა, მესამე პერიოდი კი მოიგეს და ანგარიში 8:7 ბოლომდე შეინარჩუნეს. ფაქტიურად, ბათუმელები ამ ორი ქულის დაკარგვით აღმოჩნდნენ ბოლო ადგილზე.

პირველობა 7 ქულით მოიგო თბილისის „დინამომ". „ლოკომოტივს" 6 ქულა აქვს, განათლების განყოფილებას — 5. დინამოელები ამ დღეებში ნოვოსიბირსკს გაემგზავრებიან ზონალურ საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

კიდევ ორიოდე სიტყვა: წერილის დასაწყისში სპორტული ენინ და აკიოტაჟი ვახსენეთ. მაგრამ ამ მატჩში ეს ენინ ყოველთვის ჯანსაღი რიდი იყო. პირდაპირ ვიტყვით, დამნაშავედ თვით მწვრთნელები და გუნდების წარმომადგენლები მიგვაჩნია. უფროსების ურთიერთდამოკიდებულება უდისციპლინობის საბაბად გაიხადეს მოზარდებმა. აშკარაა, რომ თითქმის ყველა გუნდში მოისუსტებს აღმზრდელობითი მუშაობა.

ვერ ვიტყვით, რომ ეს და ადრინდელი შეჯიბრებები მაინცდამაინც აუცილებელი მიზეზით იყო დაგეგმილი ასეთ არახელსაყრელ პერიოდში. თანაც ახლა ამას ქალაქის პირველობაც ემატება. კიდევ კარგი, ეს შეჯიბრება მასისთვის გადაიდო.

ბ. ჩიქვანაია,
შეჯიბრების მთავარი მდივანი,
თ. გაჩეჩილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც იქნა, შეთანხმდნენ

ამსტერდამი, 21 მარტი. როგორც იქნა დამთავრდა მოლაპარაკება ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ბ. სასკისა (სსრ კავშირი) და ამ წოდების პრეტენდენტის რ. ფიშერის (აშშ) შეხვედრის ადგილისა და ვადების შესახებ. 20 მარტს ხელი მოაწერეს საბოლოო შეთანხმებას, რომლის ძალითაც ამ შეჯიბრების პირველი ნახევარი (12 პარტია) გაიმართება ბელგრადში, ხოლო მეორე — რეიკიავიკში.

სასტარტო შეხვედრა შედგება იუგოსლავიის დედაქალაქში — 22 ივნისს, ხოლო დასკვნითი, როგორც წინასწარი გაანგარიშება ადასტურებს — 18 ივლისს. შემდეგ მატჩი გაგრძელდება ისლანდიის დედაქალაქში 6 აგვისტოდან — 1 სექტემბრამდე, თუ მას დასჭირდა ყველა შეხვედრა. შეგახსენებთ, რომ ანგარიში 12:12 სასკის შეუნარჩუნებს ჩემპიონობას.

მეტოქეები პარტიებს ითამაშებენ კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით, ხოლო გადადებული პარტიების დამთავრება მოხდება შემდგომ დღეებში. შეხვედრათა დასაწყისი ბელგრადშია 18 საათზე მოსკოვის დროით, ხოლო რეიკიავიკში — 20 საათზე.

მატჩის მთავარი არბიტრია დიდოსტატი ლოტარ შმიდი (გფრ), რომელიც მსაჯობდა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩს ბუენოს-აირესში ფიშერსა და პეტროსიანს შორის.

ყველაფერ ამაზე შეთანხმდნენ შეხვედრასას ჰოლანდიის ქალაქ ამსტერდამში სსრ კავშირის, ამერიკის, იუგოსლავიისა და ისლანდიის საჭადრაკო ფედერაციათა წარმომადგენლები, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პირველ ვიცე-პრეზიდენტის რაბელ მენდესის (პუერტო-რიკო) თანდასწრებით.

ახალი გამარჯვება

მინეაპოლისი, 21 მარტი. ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფმა სსრ კავშირის თავისუფალ მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდმა მეორე მატჩიც მოუგო მასპინძლებს — 7:3.

5 ათასმა მაყურებელმა შეავსო პატარა ქალაქ ანოკის სპორტული დარბაზის ტრიბუნები (ეს ქალაქი რამდენიმე მილითაა დაცილებული მინეაპოლისს). მაყურებლები, რომელთა უმრავლესობა ადგილობრივი ახალგაზრდობა იყო, იატაკზეც კი ისხდნენ თიოქმის ზედ საჭიდაო ხალიჩასთან.

ყველაზე დიდი მოწონება ხვდა მასპინძელ მსოფლიო ჩემპიონს ზ. აბდულბეკოვს, რომელმაც ბეჭებით ეაკარა ხალიჩას თ. ილგოვიჩი მეორე წუთზევე. ამ ელვისებურობას საგანგებო საფუძველი ჰქონდა: აბდულბეკოვმა ვარჯიშის დროს დაზიანა წარბი და რომ თავიდან აეცილებინა ზედმეტი ტრავმები, მან პირველივე წამიდან ეტიტურად შეუტია და გაიმარჯვა კიდეც.

იმ შეხვედრებში, რომლებიც ქულებით იქნა მოგებული, ყველაზე მეტი ბალი — 10 — დააგროვეს მოსკოველმა რ. დმიტრიევმა, რომელმაც მოუგო ბ. ტომსონს და თბილისელმა ნ. ხოხაშვილმა — პ. მარსისთან.

პირველ შეხვედრაში განცდილი დამარცხებისთვის რევანში აიღო კიეველმა ვ. ჩერკასოვმა, რომელიც კელავ შეხვდა 1968 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორს დ. ბემს. ამერიკელმა ძმებმა ჯ. და ბ. პეტერსონებმა მარცხის სიმწარე იწვნიეს თბილისელ მსოფლიო ჩემპიონებთან ლ. თედიაშვილთან და შ. ლომიძესთან შეხვედრებში. დაძაბული ბრძოლის შემდეგ ფრედ დამთავრდა მასაჩყალელი ა. ნასრულაევისა და გ. ჯონსონის, აგრეთვე თბილისელი მძიმეწონოსანი ნ. მოდებაძის შეხვედრები კ. ტეილორთან. აღნიშვნის ღირსია ის, რომ ტეილორი მოდებაძეზე უფრო მძიმე იყო... 75 კილოგრამით.

ალმაათელი პ. ხურიკოვი შეხვედრის დამთავრებამდე 20 წამით ადრე 2 ქულას უგებდა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს რ. ჰელიკსენს, მაგრამ სწორედ ამ ბოლო წამებზე შეძლო ამერიკელმა ზედიზედ 3 ქულის აღება და გამარჯვებაც მას დარჩა.

მასპინძლებმა კიდევ ერთი ქულა აიღეს ისე, რომ არც უჭიდავიათ: წონითს კატეგორიაში 74 კილოგრამამდე ჩვენს გუნდს არა ჰყავდა მონაწილე.

საბჭოთა და ამერიკელი მოჭიდავეების მესამე შეხვედრა გაიმართება 22 მარტს ქ. კენტში (ოჰაიოს შტატი).

ძეგლად ნამოღვაწარიც ეყოფა

ადამიანი მხოლოდ კეთილი საქმეებისთვის არის მოსული ამ ქვეყნად, მაგრამ ვაი, რომ ზოგჯერ შუა გზაზე წყდება ხოლმე სათქმელი. ვასილ ილურიძემ ცხოვრებაში ბევრი რამ მოასწრო — ამ მხრივ ბედის მიმართ არ ეთქმის სამდურავი. მან მუშაობაც კაცური იცოდა და სიხარულიც, ამიტომაც მამულისა და ერის წინაშე ვალმოხდილი გაშორდა წუთისოფელს. ორმოცდამერვე გაზაფხულმა იმსხვერპლა ვასილ ილურიძის ცხოვრება — უკუღმართი სიკვდილი მას ზედ შუა გზაზე წამოეწია, მაგრამ ის, რაც ამ ხნის მანძილზე გააკეთა, საღსებით საკმარისია ერთი მართალი ბიოგრაფიის დასაწერად.

იგი იყო კარგი მამა, აღმზრდელი და რა გასაკვირია, რომ თავისი ცხოვრების ერთი ნაწილი ახალგაზრდობის უანგარო სამსახურს შეალია.

იგი იყო ბრწყინვალე სპორტსმენი, ქართველი ფალავნის ძალისა და ხერხის პირველი მქადაგებელი. ჭიდაობაშიც მან ისეთივე კეთილი დატოვა, როგორიც ღრმა და შინაარსიან ცხოვრებაში.

იგი წლების მანძილზე საბჭოთა საჭიდაო სკოლის ავანგარდში იდგა, როგორც მისი ერთ-ერთი თავკაცი და ჭკუის დამრიგებელი.

უმაღლესი ქურუმიც იყო, ყველა სადავო საქმის მომრიგებელი. ვასილ ილურიძის განაჩენს კანონის მნიშვნელობა ჰქონდა, იმიტომ, რომ არ იცოდა მიკერძოება და ყველას ერთი სიზომით ზომავდა.

იგი იყო ერთგული მეუღლე და მეგობარი, სიმართლისთვის თავდადებული მებრძოლი.

იყო და აღარ არის. ესეც ცხოვრების კანონია, რომელსაც ყველა უსიტყვოდ ემორჩილება, მაგრამ მკაცრი და ულმობელი კანონი. სიკვდილი მჯდამ მძიმეა, მაგრამ ორჯერ უფრო გულსაკლავია, როცა ბევრი რამ გრჩება სათქმელი და გასაკეთებელი.

ვასილ ილურიძემ პირნათლად მოიხადა ვალი ოჯახის წინაშე. თავის ჭკუაზე აღზარდა ორი ვაჟკაცი — თენგიზი და მიხეილი, რომლებიც კარგა ხანია აგრძელებენ მამის გზას.

ვასილ ილურიძემ პირნათლად მოიხადა ვალი საყვარელი სპორტის წინაშე — იყო საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, მრავალი საერთაშორისო ტურნირისა და ჩემპიონატის ლაურეატი.

ვასილ ილურიძემ ჭიდაობას აზიარა ბევრი სახელმოხვეჭილი ოსტატი, უანგაროდ გადასცა მათ თავისი მდიდარი ცოდნა და გამოცდილება. მსოფლიოს ჩემპიონი ვლადიმერ რუბაშვილი მისი შრომის პირველი დიდი ნაყოფი იყო. იგი გულწრფელად ხარობდა თავისი მოწაფეების წარმატებით. შოთა ლომიძის გამარჯვება მსოფლიო ჩემპიონატში ვასილ ილურიძის ხელახალი დაბადება იყო, როგორც მწვრთნელის, როგორც ადამიანის, როგორც მოქალაქისა.

სსრ კავშირის ნაკრებმა ვასილ ილურიძის მეთაურობით შორს გაუტეხა სახელი საბჭოთა მოჭიდავის ვაჟკაცობას. იგი მუდამ ქორივით დასტრიალებდა თავის ბიჭებს და ცდილობდა შთაენერგა მათთვის საქმის სიყვარული. უაღრესად მომთხოვნი და დაკვირვებული იგი საათებს ატარებდა ხარბიელზე და ახალგაზრდებთან ერთად იწმენდდა ჭირის ოფლს. სხვაგვარად მას არც შეეძლო, იმიტომ, რომ გრძნობდა დაკისრებული პასუხისმგებლობის სიმძიმეს.

ვასილ ილურიძე სხვა მხრივაც იყო პატივცემული მსოფლიოს საჭიდაო წრეებში. იგი მუდამ ამაყობდა თავისი სამსაჯო ტიტულით და გრძნობდა, რომ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის პრინციპულობა ბოლომდე შეუბღალავად უნდა ეტარებინა.

რა ძნელია, როცა საყვარელ კაცს სამუდამო სამყოფლისკენ აცილებ. ძნელია მასზე ფიქრი, ლაპარაკი. იგი ხულ მუდამ შენს გვერდითაა, როგორც ცოცხალი, და გსურს ასეთად დარჩეს წლების მანძილზე. ამბობენ, სიკვდილი ყველა ვალს ისტუმრებსო. ვასილ ილურიძის ცხოვრების ვალი არ დარჩენია. პირიქით მან დაადო ვალი ცხოვრებას და შუბლგახსნილი გაშორდა წუთისოფელს. ასეთ კაცზეა ნათქვამი — ძეგლად მას თავისი ნამოღვაწარიც ეყოფაო.



შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

● „კოლხეთი“ (ხობი) — „გიგანტი“ (ლაითური) 0:0. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

ხობელებს შეეძლოთ მოეგოთ ეს თამაში, მაგრამ „გიგანტის“ მეკარე ჩემინავამ აიღო 11-მეტრიანი დარტყმა და გადაარჩინა თავისი გუნდი წაგებას.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება მიეცა ლაითურელ გოგიბერიძეს.

● „სულორი“ (ვანი) — „ივერია“ (ხაშური) 5:0. მსაჯი ნ. ცანავა (ბაგრა).

ხაშურელებმა ძალზე სუსტად ჩაატარეს ეს მატჩი, ამას გარდა, უხეში შეცდომები დაუშვა მეკარემ, რომელიც მთავარი დამნაშავეა თავისი გუნდის დიდი ანგარიშით დამარცხებაში.

● „ალმაცხე“ (აწყური) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 1:1. მსაჯი ზ. ნოზაძე (გორი).

მასპინძლები გარკვეულ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ „ლოკომოტივმა“ 23-ე წუთზე კარგად განახორციელა კონტრშეტევა, რომელიც ჭუჭტი დარტყმით დაამთავრა დემეტრაშვილმა. 89-ე წუთზე თბილისელთა კარში დაინიშნა პენალტი. სუხიაშვილის დარტყმის შემდეგ ანგარიში გახდა 1:1.

● „ისანი“ (თბილისი) — „ეკონი“ (ცხაკაია) 1:1. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

თამაში დაიწყო სტუმრების უპირატესობით და მე-19 წუთზე ქაჩიბაიამ გახსნა ანგარიში. შემდგომში „ისანმა“ გამოასწორა მდგომარეობა, რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა, რომელთაგან ერთ-ერთი საპასუხო გოლით დაამთავრა მელაშვილმა.

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 4.0. ნსაჯი ა. ჭკუასელი (თბილისი).

კვლავ გამოიჩინა თავი გორელმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა რევაზიშვილმა. ზესტაფონელთა კარში გატანილი პირველი გოლის შემდეგ (ნოზაძე) მან სამჯერ აიღო მეტოქის კარი.

● ასკ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:0. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

გვერდით მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება მიიღო არმიელთა კაპიტანმა გ. ქელეხიძემ.

● „შუქურა“ (ქობულეთი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:0. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).

თამაში მიმდინარეობდა საინტერესოდ, სწრაფად. მისი ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც 89-ე წუთზე გაიტანა ჯობავამ.

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „ვარკეთილი“ (გარდაბანი) 1:2. მსაჯი გ. გუჯაბიძე (ფოთი).

გარდაბნელი გაბელაიას მიერ გატანილი გოლი მასპინძლებმა მეორე ტაიმში გაქვითეს, მაგრამ 73-ე წუთზე მაქანიძემ გამარჯვება მოუტანა „ვარკეთილს“.

● „განთიადი“ (ბორჯომი) — „კახეთი“ (თელავი) 0:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

ამ მატჩში ადგილი ჰქონდა ყოველად უმსგავსო გამოხდომებს ორივე გუნდის მოთამაშეთა მხრივ და უნდა ვიმედოვნოთ, რომ რესპუბლიკური ფედერაციის სპორტტექნიკური კომისია საგანგებოდ იმსჯელებს თავაშვებულ ფეხბურთელთა საქციელზე. მსაჯი იძულებული იყო მინდვრიდან გაეძევებინა ბორჯომელი ხვედელიძე, თელაველები შმატკოვი და კობახიძე, ამას გარდა გაფრთხილება მიეცა ბორჯომელ ჩადუნელს.

● „მეშახტე“ (ტყიბული) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:1. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

● „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „სინათლე“ (თბილისი) 1:0. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

თბილისელთა კარში გატანილი ერთადერთი ბურთის ავტორია კოხრეიძე. უნციდენტო არ ამ მატჩს ჩაუვლია. არასპორტული საქციელისთვის მსაჯმა მინდორი დატოვებინა სამტრედიელ მესიაჩვილკოს და თბილისელ ტყიბუჩავას.

კარიერა საცაა დამთავრდება

ასე მიაჩნია ზოგიერთ ბრაზილიელ სპეციალისტს, რომ საცაა დამთავრდება პელეს ბრწყინვალე კარიერა. ეს კია, რომ ამ ფეხბურთელს ბრაზილიელები არნახული სინანულით იმშვიდობებიან. განშორება შეუდარებლად უფრო მძიმე იქნება, ვიდრე იმ მოთამაშესთან, რომელიც პელემდე ითვლებოდა „ფეხბურთის მეფედ“. ეს იყო ამჟამად ყველასგან დავიწყებული ვასკონჩელოსი, რომელმაც სწორედ იმ 1956 წელს მოიტეხა ფეხი, როცა პელემ თავისი პროფესიული კარიერა დაიწყო „სანტოსში“.

ვასკონჩელოსი დღეს ფეხბურთის პროფესიონალ ისტორიკოსებს თუ ახსოვთ და ისიც მხოლოდ ბრაზილიაში.



ხუთნი ხუთის წინააღმდეგ

გაზეთ „დეილი მეილის“ რედაქციამ ლონდონის „უეგბლის“ სტადიონზე მოაწყო საფეხბურთო ტურნირი, რომელსაც დიდძალი მაყურებელი დაესწრო. ამ ტურნირის თავისებურება ის იყო, რომ ყოველ გუნდში მხოლოდ 5 ფეხბურთელი თამაშობდა. ერთმანეთს შეხვდნენ „შეფილდ იუნაიტედი“ — „სელტიკი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „გლაზგო რეინჯერსი“, „ევერტონი“ — „არსენალი“, „ჩელსი“ — „კოვენტრი“, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „ლეისტერ სიტი“, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ — „ფულერჰემპტონ უონდერერსი“, „ბლეკპული“—„საუთჰემპტონი“, „კრისტალ პალასი“ — „ვესტ ჰამ იუნაიტედი“.

გუნდის ხელმძღვანელები ვალდებული იყვნენ თავიანთი საუკეთესო ფეხბურთელები გამოეყვანათ. მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობდნენ ბესტი, ბ. ჩარლტონი, ლოუ, კიდი და მორგანი, „სელტიკში“ — ჯონსტონი, ლენოქსი, კონელი, „ტოტენჰემ ჰოტსპურში“ — ჩიერსი, მალერი, „ჩელსიში“ — ოსგუდი და სხვ.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სახალხო განათლების განყოფილების საწყლოსნო სახეობების ბავშვთა სპორტული სკოლის ახალ აუზზე გახსნილია ცურვის შემსწავლელი ჯგუფები 6 დან 9 წლის ჩათვლამდე გოგონებისა და ბიჭებისთვის.

ჯგუფებში ჩასაწერად საჭიროა წარმოადგინოთ ჯანმრთელობის ცნობა პოლიკლინიკიდან და ერთი ფოტოსურათი.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება აუზის დირექციაში — საირმის ქ. № 51 (საბურთალო).

ახალი აქციები-72

● ჩელიაბინსკი, 20 მარტი. ფრეხბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე, დაკვნითი წრის მესამე დღის მატჩები ასე დამთავრდა: „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკა 3:2, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (ოდესა) 3:2, „ავტომობილისტი“ (ტაშკენტი) — „დინამო“ (ერევანი) 3:0, „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) — „ნევაჩი“ (ბაქო) 3:1. კვლავინდებურად ლიდერობენ მოსკოველი დინამოელები, რომლებსაც 14 ქულა აქვთ.

● ბორკი, 21 მარტი. აქ დამთავრდა ბადმინტონისტთა საკავშირო ჩემპიონატი. ქალთა შორის გაიმარჯვა მინსკელმა ტ. კოჩეტკოვამ, ვაჟებში — ს. პროზორნამ (მინსკი). ქალთა წყვილებში ყველას აჯობეს კოჩეტკოვამ და ტ. შმაკოვამ (მინსკი), ვაჟებში — კ. ვავილოვისა და ნ ჰეშეხონოვის (დნეპროპეტროვსკი) წყვილმა. შერეულ წყვილთა შორის უძლიერესები იყვნენ შმაკოვა და პეშეხონოვი.

● მადრიდი, 21 მარტი. ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის (ევროპის ზონა) ნახევარფინალში სსრ კავშირის ხელბურთელებმა კვლავ იზეიმეს გამარჯვება. ამჯერად მათ ანგარიშით 22:12 (10:5) დაამარცხეს შვეიცარიის გუნდი. მომდევნო მატჩში ჩვენი სპორტსმენები შეხვდებიან ესპანელ ხელბურთელებს.

● კიშინიოვი, 21 მარტი. 234 თავისუფალი სტილის მოჭიდავე მონაწილეობდა ცნობილი რუსი ფალავნის ი. ზაიკინის მემორიალში. პირველი ადგილები მოიხვეჭეს: ი. და ა. ანდურახმანოვებმა (ორივე — უზბეკეთი), ა. ზერამ და ა. მატვეევმა (ორივე — ლენინგრადი), რ. ხუტაბამ (საქართველო), ვ. ზილბერმანმა (ბელორუსია). გუნდურ ჩათვლაში უძლიერესები იყვნენ მოლდაველი მოჭიდავეები. მეორე ადგილი დაიკავეს ლენინგრადელებმა, მესამე — უზბეკმა ათლეტებმა.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

ЗФ 04479